ორი სხვადასხვა ტაიმი

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 9 აგვისტო.

"დინამო" (თბილისი) – "ზენიტი" (ლენინგრადი) 2:1 (2:0).

"დინამო": მჭედლიძე, პაიკიძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი (მესხი), ცავა (ჯოხაძე), შენგელია.

"ზენიტი": ბირიუკოვი, იაკოვლევი, ვ. კუზნეცოვი, ს. კუზნეცოვი, მერეჩკო, ზახარიკოვი, დოლგოპოლოვი, კაზაჩონოკი (დავიდოვი), გერასიმოვი, ბროშინი, კლემენტიევი (ჟელუდკოვი).

მსაჯი: ი. სავჩენკო (მოსკოვი).

გააფრთხილეს გ. ჯოხაძე.

მაყურებლები - 36.300.

დუბლიორთა მატჩი არ გამართულა, იგი შედგება მოგვიანებით.

ჯერ კიდევ თვალწინ გვიდგას ამ გუნდების ამასწინანდელი შეხვედრა ლენინგრადში, სადაც თბილისელებმა მარცხი განიცადეს "ზენიტთან". დინამოელები მაშინ არ ჰგავდნენ საკუთარ თავს, აშკარად დაუთმეს ინიციატივა მასპინძლებს, არ შესთავაზეს მათ საკუთარი თამაში, სწრაფი ტემპი, არ იყვნენ მობილიზებული და ლენინგრადში დატოვეს ის 2 ქულა, რომელიც ესოდენ საჭირო იყო გუნდისთვის.

დინამოელთა კოლექტივმა ეტყობა გაითვალისწინა იმ მატჩში დაშვებული შეცდომები და სარევანშო მატჩი დაიწყო ისე აქტიურად, რომ კონტრთამაშის ყოველგვარი საშუალება მოუსპო მეტოქეს. სტუმრების კარს პირველივე წუთებიდან მძაფრი შეტევა დაატყდა თავს, დაცვითი ხაზები და მეკარე, უბრალოდ, ვერ აუდიოდნენ ამ განუწყვეტელ, მძლავრ შტურმს, უკვე მე-3 წუთზე გუცაევის უძლიერესი დარტყმა მოხვდა ძელს, წუთის შემდეგ, უკვე სხვა ფლანგიდან, იგივე გაიმეორა შენგელიამ, მაგრამ თუ პირველ შემთხვევაში ბურთი "ზენიტის" მცველებმა მოიგერიეს, მეორედ ყველას დაასწრო მინდვრის სიღრმიდან შემოსულმა სულაქველიძემ და თავით გაიტანა პირველი გოლი.

ეს იყო თამაში, რომლისთვისაც ასე უყვართ თბილისის "დინამო" მაყურებლებს: გაშლილი, სწრაფი, ტემპიანი, ინდივიდუალური გარღვევები კარგად ეხამებოდა ტაქტიკურ კომბინაციებს, ლენინგრადელთა თავდამსხმელებს კარგა ხნის მანძილზე საერთოდ არ მიუღიათ ბურთი, მთელი თამაში, არსებითად, ზენიტელთა ნახევარზე მიმდინარეობდა.

ასეთ დატვირთვას გუნდმა ვერ გაუძლო - მე-17 წუთზე მარცხენა ფლანგზე სწრაფად გავიდა შენგელია და ძლიერად, ზუსტად დაარტყა მიზანში - 2:0.

"დინამოს" რომ ასეთივე ტემპით, მონდომებითა და აგრესიით განეგრძო თამაში, ეჭვი არაა, სტუმრები ვერ გადაურჩებოდნენ დიდი ანგარიშით მარცხს, მაგრამ უკვე შუა ტაიმში თბილისელებმა რამდენადმე მოუკლეს ტემპს, მეტოქეს მისცეს ორგანიზებული დაცვის საშუალება, შემდგომში კი თამაშმა თანდათან გადაინაცვლა ჯერ შუა მინდორში, შემდეგ კი უკვე მასპინძელთა ნახევარზეც. დინამოელებმა რამდენიმეჯერ სცადეს კვლავ აეწყოთ ადრინდელი იერიშები, მაგრამ "ზენიტი" სისტემატურად ქმნიდა ხელოვნურ თამაშგარე მდგომარეობას, რის საწინააღმდეგო კონტრზომებს მასპინძლებმა ვერაფრით ვერ მიაგნეს.

ყველაფერი ეს დინამოელებს უნდა გაეთვალისწინებინათ მეორე ტაიმში, მაგრამ, სამწუხაროდ, პირიქით მოხდა: მათ ხელიდან გაუშვეს თამაშის სადავეები, საგრძნობლად დაირღვა კომბინაციური ურთიერთობა რგოლებს შორის, ვეღარ აღდგა კონტაქტი თავდამსხმელებსა და ნახევარმცველებს შორის და დიდი ანგარიშით გამარჯვების ნაცვლად საჭირო შეიქნა ზრუნვა პირველი ტაიმის მონაპოვრის შენარჩუნებაზე.

მდგომარეობა განსაკუთრებით დაიძაბა მაშინ, როცა ორივე გუნდმა მოუხშირა წესების დარღვევას, ხოლო არბიტრმა აშკარად ვერ გაართვა თავი სირთულეებს. როდესაც 83-ე წუთზე ჩივაძემ თავის საჯარიმო მოედანზე აკრძალული ხერხით წააქცია გერასიმოვი, 11-მეტრიანი კი ზუსტად გამოიყენა ჟელუდკოვმა, საქმე იმაზე მიდგა, რომ როგორმე შეგვენარჩუნებინა გამარჯვება, თუნდაც მინიმალური სხვაობით.

იღბლად დინამოელებმა ეს შეძლეს და აიღეს მეტად საჭირო 2 ქულა.

ბ. ქორქია.
"ლელო", 11 აგვისტო, 1982 წ.